

## განცხადება საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მხარდასაჭერად

### საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საყურადღებოდ

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის, ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტის, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის და ადამიანის უფლებების დამცველთა საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მხარდაჭერით, ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მიმართ იმ საქმიანობაში, რომლის მიზანსაც საქართველოში ადამიანის უფლებების და თანასწორობის დაცვა და ხელშეწყობა წარმოადგენს. შემფოთებული ვართ იმით, რომ საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებები ციხეებში ვიზიტების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სახალხო დამცველის მიერ თავისი მანდატის ეფექტურად და დამოუკიდებელად განხორციელებაზე.

2020 წლის 21 იანვარს, სახალხო დამცველი სპეციალური მოხსენებით წარდგა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე, რათა გამოეხატა შემფოთება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი ციხის ადმინისტრაცია ციხეში "არაფორმალური მმართველობის" სისტემების არსებობას უშვებდა, რაც ძალადობის და არასათანადო მოპყრობის რისკს ქმნიდა. ეს დასკვნა შესაბამისობაშია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშთან, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიიღო.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ საპარლამენტო მოსმენის დროს, და ზემოხსენებული დასკვნის საპასუხოდ, იუსტიციის მინისტრმა მოახდინა მოხსენების დისკრედიტაცია და ექვევებში დააყენა სახალხო დამცველის აპარატის პროფესიონალიზმი. იუსტიციის მინისტრმა ასევე წარმოადგინა სახალხო დამცველის წარმომადგენლებსა და პატიმრებს შორის გამართული შეხვედრების ამსახველი ორი ვიდეოჩანაწერი, რომლებიც ასევე გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს სოციალურ მედიაში, პირადი ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის დაცვის გარეშე. რამდენიმე დღის შემდეგ, სასჯელაღსრულების უწყების თანამშრომლებმა მედიას გაუშხილეს, ასევე ინტერნეტითა და სოციალურ მედით გავრცელდა, იმ პატიმრების სახელები და გვარები, რომლებსაც ომბუდსმენი შეხვდა.

საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია, რომ დაუშვებელია სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელისშეშლა.<sup>1</sup> სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველის ინსტიტუტს უფლება აქვს გამოავლინოს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და წარუდგინოს რეკომენდაციები შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. კანონი ასევე კრძალავს სახალხო დამცველსა და თავისუფლებაღკვეთილ პირებს შორის გამართული შეხვედრის რაიმე ფორმით თვალთვალს.

გაეროს პარიზის პრინციპები<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს ანიჭებს მანდატს, წარმოადგინოს მოსაზრება „ადამიანის უფლების დარღვევის ნებისმიერი მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს“. აკრედიტაციის ქვეკომიტეტი (SCA) მოუწოდებს მთავრობებს „გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რჩევები და მოთხოვნები და გონივრულ ვადაში წარმოადგინონ ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“.<sup>3</sup> ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ასევე ურჩევს სახელმწიფოებს „დროულად შეასრულონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეკომენდაციები და წარმოადგინონ რეგულარული მოხსენებები რეკომენდაციების შესრულების შესახებ“.

ჩვენ შემფოთებულნი ვართ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის ქმედებები საფრთხეს უქმნის სახალხო დამცველის ეფექტური და დამოუკიდებელი მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. კერძოდ, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის სახალხო დამცველის საქმიანობას და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მის თანამშრომლებს, ასევე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს იმ პატიმრებზე, რომლებსაც სახალხო დამცველი შეხვდა, და შეარყიოს მათ ნდობა სახალხო დამცველისადმი.

ზემოაღნიშნული არღვევს რეგიონალურ და საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა თანახმადაც, „დაუშვებელია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების და მათი თანამშრომლების რაიმე სახით დასჯა ან დაშინება იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ისინი ახორციელებენ თავიანთი მანდატების ფარგლებში“.<sup>4</sup>

ევროსაბჭოს ვენეციის პრინციპების თანახმად, „სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც მიზნად ისახავს ან იწვევს ომბუდსმენის ინსტიტუტის

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი.

<sup>2</sup> გაეროს პარიზის პრინციპები მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 48/134.

<sup>3</sup> აკრედიტაციის ქვეკომიტეტი, ზოგადი დაკვირვება 1.6.

<sup>4</sup> გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების შესახებ, A/C.3 /74/L.44/Rev.1, 2019 წლის ნოემბერი; ევროპის საბჭო, ომბუდსმენის ინსტიტუტის დაცვისა და პოპულარიზაციის პრინციპები (ვენეციის პრინციპები), 2019 წლის მაისი.

ჩახშობას ან მისი ეფექტური ფუნქციონირების რაიმე სახით ხელშეშლას, და ეფექტურად უნდა დაიცვას ისინი ნებისმიერი მსგავსი საფრთხისგან”.

ამავე დროს, დაცული უნდა იყოს სახალხო დამცველის, როგორც ეროვნული პრევენციის მექანიზმის, საქმიანობა. სახელმწიფოებმა უნდა ”უზრუნველყონ ეროვნული პრევენციული მექანიზმების ფუნქციონალური დამოუკიდებლობა, აგრეთვე მათი პერსონალის დამოუკიდებლობა”,<sup>5</sup> და ეროვნული პრევენციის მექანიზმის მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა იყოს პრივილეგირებული.<sup>6</sup>

საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა ფართო საერთაშორისო საზოგადოებაში პატივსაცემ ინსტიტუტს წარმოადგენს. 2018 წელს, მას ხელახლა მიენიჭა A-სტატუსი, რაც მიუთითებს მის სრულ შესაბამისობას გაეროს პარიზის პრინციპებთან. განხილვის დროს, აკრედიტაციის ქვეკომიტეტმა დადებითად შეაფასა სახალხო დამცველის ძალისხმევა ადამიანის უფლებების ხელშესაწყობად და დასაცავად, და აღიარა, რომ მას მუშაობა რთულ სიტუაციაში უწევდა.

ჩვენ პატივისცემით მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დაიცვას საერთაშორისო პრინციპები, რომლებიც ავალდებულებენ მას დაიცვას ისეთი ინსტიტუციები, როგორცაა საქართველოს სახალხო დამცველი, დამინების, მუქარის ან მთავრობის მხრიდან ისეთი ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის დამოუკიდებლობაზე და ეფექტურობაზე. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს (პროკურატურა, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი), დაუყოვნებლად და სრულყოფილად გამოიძიონ მსგავსი შემთხვევები, სახალხო დამცველთან თანამშრომლობით.

ჩვენ ვაგრძელებთ კონსტრუქციულ და კოლეგიალურად მუშაობას სახალხო დამცველის ეფექტური და დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო გარემოს უზრუნველსაყოფად. მზად ვართ დამატებით განვმარტოთ მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები, დაინტერესების შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი აერთიანებს 45 წევრს ევროპის მასშტაბით, და მის მიზანს რეგიონში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის გაძლიერება წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის წევრია.

<sup>5</sup> წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (OPCAT), რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

<sup>6</sup> წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-6 მუხლი.

## მხარდამჭერები:

**GANHRI** - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვასა და განვითარებას ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მეშვეობით. იგი შედგება აფრიკის, ამერიკის, აზია-წყნარი ოკეანეთის და ევროპის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონალური ქსელებისგან (სულ 112 ინსტიტუტი). საქართველოს სახალხო დამცველი არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის წევრი.

**IOI** - ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი, გლობალური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 190-ზე მეტ დამოუკიდებელი ომბუდსმენის ინსტიტუტს მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნიდან. საქართველოს სახალხო დამცველი არის ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი.

**Equinet**, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი, აერთიანებს 49 ორგანიზაციას ევროპაში, რომლებიც, როგორც ეროვნული თანასწორობის ორგანოები, უფლებამოსილი არიან დაუპირისპირდნენ სხვადასხვა საფუძველზე ჩადენილ დისკრიმინაციას. საქართველოს სახალხო დამცველს აქვს თანასწორობის ორგანოს მანდატი და არის თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის წევრი.

ადამიანის უფლებების დამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანამდებობა ადამიანის უფლებათა კომისიამ შემოიღო 2000 წელს, რათა ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ 1998 წელს მიღებული დეკლარაციის განხორციელებისათვის. 2014 წლის ივნისში, ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტმა სპეციალური მომხსენებლის თანამდებობაზე დანიშნა მიშელ ფორსტი და მას ვადა განუახლდა 2017 წელს.

2020 წლის თებერვალი